საქართველოს
ეროვნული პლატფორმა

აღმოსავლეთ პარტნიორობის
სამოქალაქო საზოგადოების ფორუმი

საკოორდინაციო საბჭოს შეხვედრა

თარიღი: 25 აპრილი, 2023 წელი

დრო: 20:00 - 21:00

შეხვედრის ადგილი: Zoom

შეხვედრას ესწრებოდნენ:

1. ნინო ჩხობაძე - საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები
2. კონსტანტინე ჟღენტი - საქართველოს ბიზნეს საკონსულტაციო ორგანიზაციების ასოციაცია
3. ქეთევან ცხაკაია - იმერეთის მხარის მეცნიერთა კავშირი ,,სპექტრი”
4. ნუგზარ კოხრეიძე - სამეცნიერო-ინტელექტუალური კლუბი „თაობათა დიალოგი“
5. ირინა ფუტკარაძე - საზოგადოებრივი დამცველი
6. ცირა მესხიშვილი - სამცხე-ჯავახეთის რეგიონული ასოციაცია „ტოლერანტი“

განსახილველი საკითხები:

1. მაღალი დონის კონფერენციის საკითხი
2. საერთო კრების საკითხი
3. 12 პუნქტიანი რეკომენდაციის შესრულების პროცესი

საკოორდინაციო საბჭოს შეხვედრა გახსნა მმართველი კომიტეტის თავმჯდომარე, ნინო ჩხობაძემ.

მმართველი კომიტეტის შეხვედრაზე, საქართველოს ეროვნულმა კოორდინატორმა, ნათია კუპრაშვილმა, ისაუბრა იმ ახალ რეალობაზე, რომელიც აღმოსავლეთ პარტნიორობის ფორუმის ფარგლებში შეიქმნა. ევროკავშირის მხრიდან აღმოსავლეთ პარტნიორობის ფორუმისადმი იყო მითითება და დაგეგმილია აღმოსავლეთ პარტნიორობის სტრუქტურული ცვლილებები, ამ საკითხებზე იმსჯელეს ფორუმის მმართველი კომიტეტის შეხვედრაზე. იცვლება აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების აღქმა და გაგება. კონკრეტული ხედვები, დეტალური განმარტებებითა და ახალი სამოქმედო გეგმით ხელმისაწვდომი იქნება შემოდგომაზე. ფორუმის სტრუქტურული ცვლილებები, ეროვნული პლატფორმების დონეზეც გამოიწვევს განახლებას და ცვლილებებს. აღნიშნულ გადაწყვეტილებებზე ეროვნული კოორდინატორი უახლოეს დღეებში მიიღებს ფორუმის მიერ ოფიციალურ დოკუმენტს, რის შემდეგაც მნიშვნელოვანია რომ ეროვნულ დონეზე პლატფორმის წევრი ორგანიზაციების ინფორმირების მიზნით, ჩატარდეს გაფართოებული შეხვედრა, სადაც მათ მიეწოდებათ დეტალური ინფორმაცია დაგეგმილ სტრუქტურულ ცვლილებებზე და იმ მიზეზებზე, რომელმაც გამოიწვია მსგავსი სტრატეგიული და სტრუქტურული ცვლილებები. შესაბამისად, საკოორდინაციო საბჭოს გადაწყვეტილებით, დაიგეგმება გაფართოებული შეხვედრა პლატფორმის წევრებისთვის, რომელზეც ეროვნული კოორდინატორი გააკეთებს მოხსენებას აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

ეროვნული პლატფორმის სამდივნომ ისაუბრა მაღალი დონის კონფერეცნიის ორგანიზებასთან დაკავშირებული მნიშვნელოვან საორგანიზაციო საკითხებზე. საკოორდინაციო საბჭო მიიჩნევს, რომ მაღალი დონის კონფერენციის მთავარი თემა უნდა იყოს 12 პუნქტიანი რეკომენდაციების შესრულება და ქვეყნისთვის კანდიდატის სტატუსის მინიჭების საკითხი. შესაბამისად, მაღალი დონის კონფერენციაზე უნდა იყოს უზრუნველყოფილი მომხსენებლების ჩართულობა საქართველოს პარლამენტიდან. საკოორდიანციო საბჭო მიიჩნევს, რომ კონფერენცია შეიძლება ჩატარდეს ჰიბრიდული ფორმატის გამოყენებით, რაც გულისხმობს მაღალი დონის მომხსენებლების ჩართვას ევროპარლამენტიდან. მაღალი დონის კონფერენციის ორგანიზების საკითხზე მუშაობა უკვე დაწყებულია, თუმცა ქვეყანაში შექმნილი ვითარების გათვალისწინებით, ვერ მოხერხდა პროცესის დინამიკაში განვითარება. შესაბამისად, მზადების პროცესი განახლდება და მაღალი დონის კონფერენციის ორგანიზება მოხდება შემოდგომაზე.

შეხვედრაზე განხილულ იქნა საელჩოებთან შეხვედრის საკითხი. საბჭოს გადაწყვეტილებით, მომზადდება წერილები ევროკავშირის წევრი ქვეყნების ელჩებისთვის, რომელშიც საუბარი იქნება პლატფორმის საკოორდინაციო საბჭოსთან შეხვედრის ორგანიზებაზე.

ერთსაათიანი მსჯელობის შემდეგ შეხვედრა დასრულდა

შეხვედრის მდივანი: ქეთევან ჭურაძე